ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №1

დაბა ქედა,

29 იანვარი, 2025 წელი

სხდომა დაიწყო: 11:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ციური ზაქარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი - გენადი ანანიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

29.01.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ვაჟა აბულაძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
7	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
8	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1.“ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია“.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი- გენადი ანანიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 24 იანვარს საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი 12-95250241-95; განცხადების თარიღი 24.01.2025) „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია“.

მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენადი ანანიძემ წარადგინა 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია შემდეგი სახით:

2024 წლის ქედის მუნიციპალიტეტში კაპიტალური პროექტების განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სულ გამოყოფილი იყო 9110265 ლარი, აქედან აჭარის ბიუჯეტიდან დაფინანსებული კაპიტალური ტრანსფერი შეადგენდა 7150000 ლარს.

აღნიშნული საბიუჯეტო თანხებიდან კაპიტალური პროექტების განხორციელებისათვის წლის განმავლობაში დაიხარჯა 6104208.28 ლარი ანუ გამოყოფილი მთლიანი ხარჯის 85.4 %.

საბიუჯეტო სახსრების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვები მთლიანად განხორციელდა ელექტრონული ტენდერების შედეგად. გამოვლენილ გამარჯვებულ მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა სულ 46 ხელშეკრულება. რის შესაბამისად 80-ზე მეტი პროექტი იქნა შესრულებული.

აღნიშნული საბიუჯეტო სახსრების უმეტესი ნაწილი მოხმარდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, კერძოდ: საგზაო ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოებს, პარკების მოწყობისა და სხვა კეთილმოწყობით სამუშაოებს .

მნიშვნელოვანი პროექტები რომლებიც გასული წლის განმავლობაში განხორციელდა არის ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ახოში სკვერის მოწყობა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 465997.89 ლარი, დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 294417 ლარს. აღნიშნულ ობიექტზე დაგეგმილი სამუშაოების 40 პროცენტამდე შესრულებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს სამუშაოები. ასევე ცალკეულ სოფლებში საუბნო - საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამატებით დაიხარჯა 2134879 ლარი და განხორციელდა 39 პროექტი. მათ შორის მოეწყო საუბნო საავტომობილო გზები სოფელ სოფელ გოგიაშვილებში გრიშა გოგიაშვილის სახლთან, სოფელ დოლოგანში დოხოძეების უბანში, სოფელ სოფელ სიხალიძეებში. შიდა სასოფლო-საუბნო გზების დასაფარად შეძენილი იქნა მზა ბეტონი 104 $მ^3$, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 298820 ლარი. გარდა ამისა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შეძენილი იქნა 126735 ლარის მზა ბეტონი. შიდა სასოფლო-საუბნო საავტომობილო გზებზე მოეწყო ფერდსამაგრი კედლები და სანიარვრე არხები 39 ლოკაციაზე.

2024 წელში ბიუჯეტის სახსრებით მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობაზე დაიხარჯა 361869 ლარი. გარდა ამისა 2024 წელში სოფლებისათვის გამოყოფილი მონაწილეობითი ბიუჯეტის თანხებით გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე გახარჯული იქნა 650090 ლარი.

გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა -რეაბილიტაციისთვის, სოფელ ძენწმანში მოეწყო სასმელი წყლის სათავე კვანძი, მაგისტრალური მილსადენი და სამარაგო რეზერვუარი, რისთვისაც დაიხარჯა 121241 ლარი. სოფელ წონიარისში მოეწყო ახალი სასმელი წყლის სისტემა რომლის ღირებულებამ შეადგინა 537995 ლარი. სოფელ პირველ მაისში ცენტრის მოსახლეობისათვის მოეწყო წყალმომარაგების სათავე კვანძი, მაგისტრალური წყალსადენი და სამარაგო რეზერვუარი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 108607 ლარი. სოფელ პირველ მაისში ასევე მოეწყო ბაგა-ბაღის წყალმომარაგების სათავე კვანძი, მაგისტრალური მილსადენი და სამარაგო რეზერვუარი, რისთვისაც დაიხარჯა 53433 ლარი. ასევე სოფელ სირაბიძეებში მოწყობილი იქნა წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 11603 ლარი.

მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერული მოვლენების რისკების თავიდან აცილების მიზნით ჩატარებული იქნა მეწყერსაწინაარმდეგო ღონისძიებები, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 603 200 ლარით მოეწყო ფერდსამაგრი კედლები და სანიაღვრე არხები 8 ლოკაციაზე , დაბა ქედასა და სოფლებში: ძენწმანი, ზენდიდი, შევაბური, ზვარე, ინაშარიძეები და სიხალიძეები.

მოეწყო 2 (ორი) ახალი მინისპორტული მოედანი დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩაზე და სოფელ ცხემნაში. რეაბილიტაცია ჩაუტრდა მინისპორტულ მოედნებს სოფელ კოლოტაურში, ზესოფელში, სოფელ ცხმორისსა და სოფელ დანდალოში, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 920693 ლარი.

კეთილმოეწყობითი სამუშაოები ჩატარდა შემდეგ სოფლებში, გუნდაურში, ბზუბზუში, გობრონეთსა და ნამონასტრევში, სადაც მოეწყო ფანჩატურები.

ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა სოფლებში ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა .

გასულ 2024 წელს აშენდა 4 ერთეული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. მათგან 2 (ორი) სახლი სოფელ პირველ მაისში, 1 (ერთი) სახლი სოფელ აგოთაში და 1 (ერთი) სახლიც სოფელ კოკოტაურში რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 307790 ლარი.

2024 წელში მეორე-მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსული 20 განცხადებიდან შესწავლილი და განხილული იქნა 20-ივე ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია. მათგან 17 (ჩვიდმეტი) დაკმაყოფილდა, ჩვიდმეტივეზე საქმისწარმოება დასრულებულია და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. 3 ობიექტის დოკუმენტაცია ხარვეზის გამო უკან იქნა დაბრუნებული.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია“ წარმოდგენილი სახით განხილულ იქნას საკრებულოს ხსდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:00 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ლევან ბერიძე**

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნესტან ბერიძე**